



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030119641394817

№ 01-238/თ

07 / ნოემბერი / 2017 წ.

მინდობით აღზრდის მომსახურების სტანდარტების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის N249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**:

1. დამტკიცდეს:

- ა) მინდობით აღზრდის მომსახურების სტანდარტები (დანართი №1);
- ბ) საინფორმაციო ფურცელი (დანართი №1.1).

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

დავით სერგეენკო

მინდობით აღზრდის მომსახურების სტანდარტები

მუხლი 1. ბავშვის მინდობით აღზრდელ ოჯახში განთავსება და მხარეების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში (სტანდარტი №1)

1. მოსალოდნელი შედეგი - ბავშვი, ჩართულ მხარეებთან ერთად მომზადებულია მინდობით აღზრდელ ოჯახში განთავსებისთვის (გარდა გადაუდებელი მინდობით აღზრდისა). ახალი გარემოს შეთავაზებისას, გათვალისწინებულია მისი საუკეთესო ინტერესები. ბავშვმა, ასაკის, ჯანმრთელობისა და განვითარების დონის გათვალისწინებით იცის მინდობით აღზრდის მომსახურების მიზანი, განსახორციელებელი ღონისძიებები და მხარეთა უფლება-მოვალეობები. მინდობით აღზრდელი ფლობს ინფორმაციას ბავშვის საჭიროებების შესახებ. ინფორმაციის გაზიარება დაინტერესებული მხარეებისთვის ხელს უწყობს ბავშვის მოთხოვნილებების სათანადოდ დაკმაყოფილებას და საჭირო გადაწყვეტილებების მიღებას. ბავშვი მონაწილეობს ზრუნვის დაგეგმვის პროცესში მისი ასაკისა და შესაძლებლობის შესაბამისად. ჩართული მხარეები უსმენენ, პატივისცემით ეპყრობიან მის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს და შესაძლებლობის ფარგლებში ითვალისწინებენ მათ.

2. აღსრულების მაჩვენებლებია:

ა) სოციალური მუშაკი ბავშვის მინდობით აღზრდელ ოჯახში განთავსების პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას წარმართავს ბავშვისა და სხვა ჩართული მხარეების - (ბავშვის ფაქტობრივი საცხოვრებლის მიხედვით მშობელი, მეურვე/მზრუნველი (ასეთის არსებობის შემთხვევაში საჭიროების შემთხვევაში, სხვა სპეციალისტი) თანამონაწილეობით (გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა);

ბ) ბავშვს, ასაკის, ჯანმრთელობისა და განვითარების დონის გათვალისწინებით, მინდობით აღზრდელის ოჯახში განთავსებამდე (გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა), მიეწოდება ინფორმაცია მომსახურებისა და მასში ჩართული სუბიექტების უფლება-მოვალეობების შესახებ, ასევე სოციალურ მუშაკთან ან სხვა საჭირო სამსახურებთან დაკავშირების საშუალებების და უკუკავშირის/გასაჩივრებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, ასევე გადაეცემა საინფორმაციო ფურცლი (დანართი 1.1);

გ) სოციალური მუშაკი უზრუნველყოფს, რომ ბავშვს ჰქონდეს მომავალი განთავსების ადგილისა და გარემოს, ასევე მინდობით აღზრდელის შესახებ სრული ინფორმაცია. ბავშვს მინდობით აღზრდელ ოჯახში გადასვლამდე აქვს შესაძლებლობა, გაიცნოს მინდობით აღზრდელი და მისი ოჯახის წევრები, ასევე მოინახულოს მომავალი გარემო (გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა);

დ) ყველა ეტაპზე უზრუნველყოფილია ბავშვის აზრისა და შეხედულებების პატივისცემა, რაც გამოიხატება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მისი მონაწილეობითა და გამოხატული აზრის გათვალისწინებით (გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა);

ე) მინდობით აღზრდელისთვის ბავშვის შეთავაზებისას, მიწოდებული ინფორმაცია ბავშვის/ბიოლოგიური ოჯახის შესახებ არ უნდა შეიცავდეს ბავშვისა და მისი ბიოლოგიური ოჯახის იდენტიფიცირების შესაძლებლობას (მათ შორის, ბავშვის სახელი და გვარი), გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა;

ვ) მინდობით აღზრდელის მხრიდან ბავშვის მინდობით აღსაზრდელად გაყვანაზე თანხმობის შემთხვევაში, მას მიეწოდება ბავშვის შეფასებისას მოპოვებული ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის, ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების ჩათვლით, ასევე ოჯახის შეფასება;

ზ) უფლებამოსილი ორგანოს მიერ ბავშვის მინდობით აღმზრდელ ოჯახში განთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მინდობით აღმზრდელს მიეწოდება ხელშეკრულება, ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმა, ასევე სოციალური მუშაკის დასკვნა, გადაწყვეტილება მნახველ/გამყვან პირად დარეგისტრირების შესახებ და საქმეში არსებული სხვა დოკუმენტები (ბავშვთან მომუშავე სხვა სპეციალისტის დასკვნა/რეკომენდაცია), რაც დადასტურებულია მიღება-ჩაბარების აქტით. მოთხოვნის შესაბამისად, ინდივიდუალური განვითარების გეგმა მიეწოდება ბავშვსაც ასაკის, ჯანმრთელობისა და განვითარების დონის გათვალისწინებით.

მუხლი 2. მომსახურების ინკლუზიურობა (სტანდარტი №2)

1. მოსალოდნელი შედეგი - ბავშვისა და მინდობით აღმზრდელი ოჯახის შეთავსების განსაზღვრა ეფუძნება მათ ინდივიდუალურ თავისებურებებს. მინდობით აღზრდაში ბავშვზე ზრუნვა ხორციელდება მისი ინდივიდუალური თავისებურებების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

2. აღსრულების მაჩვენებელია:

ა) მინდობით აღმზრდელი ოჯახის შერჩევა ხდება ბავშვის ასაკის, სქესის, ჯანმრთელობის მდგომარეობის და სხვა საკითხების გათვალისწინებით (გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა), თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს;

ბ) ბავშვის განთავსება ხდება გარემოში, სადაც მზრუნველი პირი იღებს სისტემატიურ და მისთვის საჭირო მხარდაჭერას სოციალური მუშაკის მხრიდან და შესაძლებლობის ფარგლებში ხელი მიუწვდება სათანადო რესურსებთან და ფლობს უნარებს, რათა შეძლოს ბავშვზე ზრუნვა მისი ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად;

გ) მინდობით აღმზრდელი ფლობს ინფორმაციას ბავშვის ზრუნვის ინდივიდუალური საჭიროებების შესახებ და ზრუნავს მათი უზრუნველყოფისათვის;

დ) მინდობით აღმზრდელ ოჯახში (გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა), არსებობს სოციალური მუშაკის მიერ მომზადებული ბავშვისა და მინდობით აღმზრდელი ოჯახის შეთავსების ანგარიში;

ე) ბავშვს ხელი მიუწვდება თემში არსებულ სხვადასხვა მომსახურებაზე. მინდობით აღმზრდელი მომსახურების მიწოდების პროცესში იცავს აღსაზრდელის უფლებებსა და თავისუფლებებს.

მუხლი 3. მომსახურებისას ინდივიდუალური მიდგომა (სტანდარტი №3)

1. მოსალოდნელი შედეგი - ზრუნვის პროცესის წარმართვა ხდება ინდივიდუალური განვითარების გეგმაში მოცემული მიზნების გათვალისწინებით. ინდივიდუალური განვითარების გეგმის შემუშავება ხდება სოციალური მუშაკის მიერ ჩართული მხარეების თანამონაწილეობით. ინდივიდუალური განვითარების გეგმა ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს და მიზნად ისახავს მისი განვითარების შესაძლებლობების რეალიზებას.

2. აღსრულების მაჩვენებელია:

ა) სოციალური მუშაკი ბავშვის შეფასების დასრულებისთანავე, ხოლო გადაუდებელ მინდობით აღზრდაში გადასვლიდან ერთი თვის ვადაში, ჩართულ მხარეებთან (ბავშვი (ასაკის, ჯანმრთელობისა და განვითარების დონის გათვალისწინებით), მინდობით აღმზრდელი და ბიოლოგიური ოჯახი (ასეთის არსებობის შემთხვევაში და თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს)) კონსულტაციის გზით განსაზღვრავს მიზნებს და მიზნების მიღწევისთვის შესაბამის აქტივობებს, შეიმუშავებს ინდივიდუალური განვითარების გეგმას ბავშვის საუკეთესო ინტერესებისა და ხელმისაწვდომი რესურსების გათვალისწინებით;

ბ) ბავშვი (განვითარების დონის გათვალისწინებით), სოციალური მუშაკი, მინდობით აღმზრდელი, ბიოლოგიური ოჯახი (ასეთის არსებობის შემთხვევაში და თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის

საუკეთესო ინტერესებს) მონაწილეობს და პასუხისმგებელია ინდივიდუალური განვითარების გეგმაში გაწერილი ღონისძიებების შესრულებაზე;

გ) სოციალური მუშაკი მონიტორინგს ახორციელებს ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესრულებაზე და 6 თვეში ერთხელ, თუ საჭიროება არ მოითხოვს ამ ვადის შემცირებას, გადასინჯავს ინდივიდუალური განვითარების გეგმას ჩართულ მხარეებთან კონსულტაციების გზით;

დ) ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესრულებაზე პირველადი პასუხისმგებლობა ეკისრება მინდობით აღმზრდელს. იგი პასუხისმგებელია ინდივიდუალური განვითარების გეგმით გათვალისწინებულ ყველა აქტივობაზე ბავშვს მიუწვდებოდეს ხელი და იმ შემთხვევაში, თუ ეს შეუძლებელია, ატყობინებს სოციალურ მუშაკს, რათა მიიღოს მისგან დამატებითი მხარდაჭერა.

მუხლი 4. ურთიერთობა ბიოლოგიურ ოჯახთან (სტანდარტი №4)

1. მოსალოდნელი შედეგი - ბავშვი ინარჩუნებს კონტაქტს ბიოლოგიურ ოჯახთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მინდობით აღმზრდელი ხელს უწყობს ბენეფიციარის ოჯახს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ბენეფიციართან მჭიდრო ურთიერთობების შენარჩუნებასა და ვალდებულებათა რეალიზებაში (თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს, რაც არის ასახული განვითარების ინდივიდუალურ გეგმაში).

2. აღსრულების მაჩვენებლებია:

ა) ბავშვისთვის, მინდობით აღმზრდელი ოჯახის შეთავაზებისას, გათვალისწინებულია შემდგომში, მისი ბიოლოგიურ ოჯახთან ურთიერთობის შენარჩუნების ასპექტები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მის საუკეთესო ინტერესებს;

ბ) ურთიერთობა მინდობით აღმზრდელ ოჯახსა და ბიოლოგიურ ოჯახს შორის მხარდაჭერილია სოციალური მუშაკის მხრიდან, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს;

გ) მინდობით აღმზრდელსა და ბიოლოგიურ ოჯახს შორის ურთიერთობა დარეგულირებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოსა (შემდგომში - სააგენტო) და მინდობით აღმზრდელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით. ხელშეკრულება განსაზღვრავს მომსახურების მიწოდების პროცესში მხარეთა უფლება-მოვალეობებს;

დ) მეურვეობისა და მზრუნველობის საბჭოს გადაწყვეტილება, მნახველი და/ან გამყვანი პირის დანიშვნის შესახებ, მიეწოდება მინდობით აღმზრდელს, რაც დადასტურებულია ხელმოწერით;

ე) ბავშვს ასაკის, ჯანმრთელობისა და განვითარების დონის გათვალისწინებით, სოციალური მუშაკის ან მინდობით აღმზრდელის მხრიდან მიეწოდება ინფორმაცია საკუთარი წარმომავლობის შესახებ;

ვ) სოციალური მუშაკის მიერ 6 თვეში ერთხელ გადასინჯება ინდივიდუალური განვითარების გეგმა, სადაც აისახება ბავშვსა და ბიოლოგიურ ოჯახს შორის ურთიერთობის, ასევე ოჯახის გამლიერებისკენ განხორციელებული ღონისძიებები ან რეინტეგრაციის შესაძლო პერსპექტივების შესახებ ინფორმაცია.

მუხლი 5. კონფიდენციალობის დაცვა (სტანდარტი №5)

1. მოსალოდნელი შედეგი - მინდობით აღზრდაში უზრუნველყოფილია ბავშვის პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობა. ბავშვი (ასაკის, ჯანმრთელობისა და განვითარების დონის გათვალისწინებით) და ბიოლოგიური ოჯახი (ასეთის არსებობის შემთხვევაში და თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს) ინფორმირებულნი არიან, რომ მათი პირადი

ინფორმაციის კონფიდენციალურობა დაცულია. ისინი ასევე ინფორმირებულნი არიან იმ შემთხვევების შესახებ, როდესაც პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობა შეიძლება დაირღვეს.

2. აღსრულების მაჩვენებლებია:

ა) მინდობით აღმზრდელი აცნობიერებს რა ბავშვის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მნიშვნელობას, იცავს ბავშვის კორესპონდენციის, საუბრებისა და პირადი შეხვედრების კონფიდენციალურობას;

ბ) ბავშვის შესახებ ინფორმაციის გაცემა არ ითვლება დარღვევად, თუკი აღნიშნული მომსახურების ნაწილია (მაგ.: შემთხვევის შესახებ კონფერენცია, ჯგუფური კონსულტაცია, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, სხვა სამსახურისთვის გადაგზავნა (მაგ.: პოლიცია, სამედიცინო დაწესებულება, სახელმწიფო სოციალური პროგრამის მონიტორინგი, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი) ასეთ შემთხვევებში, მინდობით აღმზრდელი ხელმძღვანელობს სოციალური მუშაკის მითითებით;

გ) ბავშვთან დაკავშირებით, მინდობით აღმზრდელის ან სოციალური მუშაკის ხელთ არსებული კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა რისკს შეიცავდეს ბავშვის უსაფრთხოებისთვის, საჭიროების შემთხვევაში ზიარდება სხვა სპეციალისტ(ებ)თან, ბავშვის აზრის გათვალისწინებით განვითარების დონის შესაბამისად;

დ) სოციალური მუშაკის მიერ, მინდობით აღმზრდელისთვის ბავშვის შესახებ გადაცემული წერილობითი ინფორმაცია და სხვა დოკუმენტები კონფიდენციალურია და ინახება არახელმისაწვდომ ადგილას;

ე) მინდობით აღზრდაში გადაყვანისას, ბავშვს, ასაკის, ჯანმრთელობისა და განვითარების დონის გათვალისწინებით, მიეწოდება ინფორმაცია კონფიდენციალობის დაცვის საკითხებზე, ასევე იმ შემთხვევების შესახებ, როდესაც კონფიდენციალობა შეიძლება დაირღვეს;

ვ) სოციალური მუშაკი უზრუნველყოფს მინდობით აღმზრდელი ოჯახის დანარჩენი წევრების ინფორმირებას ბავშვის კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის შესახებ;

ზ) საჭიროების შემთხვევაში, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო (წარმოდგენილი სოციალური მუშაკის, იურისტის და ა.შ სახით) და მინდობით აღმზრდელი, ჩართულ მხარეებს (მაგ.: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სკოლა, სამედიცინო დაწესებულება, და სხვა) უზიარებენ ბავშვის შესახებ ინფორმაციას, რათა სათანადო დახმარება გაუწიონ მას;

თ) მინდობით აღმზრდელის მიერ ხელმოწერილი შრომითი ხელშეკრულება მოიცავს ბავშვის პირადი ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულებას;

ი) ბავშვისთვის მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაში, მის შესახებ არსებული ინფორმაცია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან შეთანხმებით გადადის მომსახურების ახალ მიმწოდებელთან, ხოლო თუ ბავშვი ბრუნდება ბიოლოგიურ ოჯახში, ბავშვის კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით (თანხმობით) ხდება დოკუმენტაციის გატანა;

კ) ბავშვის გასვლა მომსახურებიდან არ წარმოადგენს მიზეზს მინდობით აღმზრდელისათვის, რომ დაარღვიოს ბავშვის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

მუხლი 6. უსაფრთხოება და ზრუნვა (სტანდარტი №6)

1. მოსალოდნელი შედეგი - მინდობით აღმზრდელ ოჯახში ბავშვი დაკმაყოფილებულია საბაზისო საჭიროებებით და მისთვის შექმნილია უსაფრთხო, ჯანსაღი, მზრუნველი და განვითარების ხელშემწყობი გარემო.

2. აღსრულების მაჩვენებლებია:

ა) მინდობით აღმზრდელ ოჯახში არსებული ფიზიკური გარემო და ინფრასტრუქტურა არის უსაფრთხო. იგი ინარჩუნებს ჰიგიენასა და სისუფთავეს;

- ბ) ბავშვს აქვს შესაფერისი და კარგად მოვლილი ტანსაცმელი, რომელსაც იყენებენ სეზონის შესაბამისად;
- გ) ბავშვი უზრუნველყოფილია შესაფერისი, საკმარისი, მრავალფეროვანი და სასარგებლო საკვებით, რომელიც ითვალისწინებს პირად არჩევანს, ასაკს და სპეციალურ დიეტურ მოთხოვნებს;
- დ) ბავშვს აქვს პირადი სივრცე ძილის, მეცადინეობის, და გართობისთვის;
- ე) მინდობით აღმზრდელი ოჯახი უზრუნველყოფს მისი ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილებას და ხელს უწყობს ბავშვის დღიურ აქტივობებში დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდას;
- ვ) ბავშვის გაუჩინარების შემთხვევაში, მინდობით აღმზრდელი დაუყოვნებლივ აცნობებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. სოციალური მუშაკი გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უმეტეს გაუჩინარებიდან 24 საათისა, შეტყობინებას აკეთებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურში.

მუხლი 7. ჯანმრთელობის დაცვა (სტანდარტი №7)

1. მოსალოდნელი შედეგი - მინდობით აღზრდაში შექმნილია ბავშვის ჯანმრთელობისთვის აუცილებელი და ხელშემწყობი პირობები. ბავშვს/მოზარდს აწვდიან ინფორმაციას მისი ჯანმრთელობისა და ჰიგიენის დაცვის საკითხებზე. ბავშვი უზრუნველყოფილია იმუნიზაციითა და სამედიცინო პროფილაქტიკური შემოწმებით, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, კვალიფიციური სამედიცინო მომსახურებით.

2. აღსრულების მაჩვენებლები:

ა) მინდობით აღმზრდელს სოციალური მუშაკის მხრიდან მიეწოდება დოკუმენტური ინფორმაცია ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ბავშვის განთავსებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში (ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა №IV-100/ა, რომელიც ასევე მოიცავს ინფორმაციას ჩატარებული აცრების შესახებ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) სოციალური მუშაკი, მინდობით აღმზრდელთან ერთად ახორციელებს ბავშვის აღრიცხვაზე აყვანას პირველად სამედიცინო დაწესებულებაში განთავსებიდან ერთი თვის ვადაში ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (ბავშვის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტების არსებობისას), ხოლო ბავშვის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტების არქონის შემთხვევაში, შესაბამისი დოკუმენტების აღებისთანავე;

გ) ინდივიდუალური განვითარების გეგმა ასახავს ბავშვის ჯანმრთელობის საჭიროებებსა და მათი დაკმაყოფილების პროცესში ჩართული მხარეების მოვალეობებს;

დ) მინდობით აღმზრდელი ზრუნვის პროცესში ყურადღებით ეკიდება ბავშვის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით გამოვლენილ საჭიროებებს და უზრუნველყოფს მათ დაკმაყოფილებას ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესაბამისად;

ე) მინდობით აღმზრდელი პასუხისმგებელია ხელი შეუწყოს ბავშვის იმუნიზაციისა და სამედიცინო პროფილაქტიკური შემოწმების პროცესს;

ვ) თუ მინდობით აღმზრდელს უჩნდება პრობლემა ინდივიდუალური განვითარების გეგმით დასახული ჯანდაცვითი ღონისძიებების ჩატარებისას (მაგ. გამოკვლევა, ექიმის კონსულტაცია), იგი ამის შესახებ ატყობინებს სოციალურ მუშაკს და მისგან იღებს შემდგომ კონსულტაციას თუ როგორ უზრუნველყოს საჭირო პროცედურები;

ზ) მწვავე და გადაუდებელ შემთხვევებში, როდესაც ბავშვის განვითარებას და სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, მინდობით აღმზრდელი ინფორმაციას აწვდის სოციალურ მუშაკს და უკავშირდება შესაბამის ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს ბავშვის ჯანმრთელობის (მათ შორის, ფიზიკური, ფსიქიკური და სხვა) საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით. იღებს გადაწყვეტილებას

ბავშვისთვის გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების მიწოდების შესახებ, ბავშვის სამედიცინო საჭიროებების (მაგ.: გეგმიური ჰოსპიტალიზაცია ან ოპერაცია) დაკმაყოფილების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში სოციალური მუშაკი ერთვება იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს ესაჭიროება კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა;

თ) მინდობით აღმზრდელ ოჯახში ბავშვს აწვდიან ინფორმაციას ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ, მისი ასაკის, ჯანმრთელობისა და განვითარების დონის გათვალისწინებით;

ი) მინდობით აღმზრდელი სოციალურ მუშაკს აწვდის ინფორმაციას ბავშვის ჯანმრთელობის კუთხით ნებისმიერი ცვლილებისა თუ საჭიროების თაობაზე.

მუხლი 8. განათლება (სტანდარტი №8)

1. მოსალოდნელი შედეგი - მინდობით აღზრდაში ბავშვს აქვს შექმნილი სათანადო გარემო, რათა ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, ჩართული იყოს სკოლამდელი აღზრდის, საგანმანათლებლო/პროფესიული, სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ ქვეპროგრამებსა და არაფორმალური სწავლების პროცესებში. მოცემული მას ეხმარება აკადემიური და სხვა უნარების განვითარებასა და რეალიზებაში, რაც წარმოადგენს დამოუკიდებელი ცხოვრების განმსაზღვრელ კომპონენტს.

2. აღსრულების მაჩვენებლებია:

ა) ბავშვი, ასაკის, ჯანმრთელობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, თემში არსებული რესურსების გათვალისწინებით ჩართულია სკოლამდელი აღზრდის, საგანმანათლებლო/პროფესიული სწავლების პროცესებში. მინდობით აღმზრდელი ასევე ხელს უწყობს ბავშვის მონაწილეობას თემში არსებულ დამატებით სასწავლო პროგრამებსა და წრეებში, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს მას შესაბამისი ინვენტარით;

ბ) მინდობით აღმზრდელი აქტიურად არის ჩართული ბავშვის საგანმანათლებლო მიზნების შესრულებისა და სირთულეების დაძლევის პროცესში;

გ) მინდობით აღმზრდელს აქვს რეგულარული კონტაქტი სკოლასთან, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებასთან ან პროფესიულ სასწავლებელთან, რაც ემსახურება ბავშვის აკადემიური მოსწრებისა და სწავლის პროცესში წამოჭრილი სირთულეების შესახებ ინფორმაციის მიღებას, რომლის შესახებ ინფორმაციას აწვდის სოციალურ მუშაკს;

დ) მინდობით აღმზრდელი ბავშვს უზრუნველყოფს სასწავლო სახელმძღვანელოებით და სხვა საჭირო მასალებით;

ე) მინდობით აღმზრდელ ოჯახში ბავშვს ასაკისა და ინტერესების შესაბამისად ხელი მიუწვდება გასართობ ინვენტარზე და ლიტერატურაზე (მაგ.: სათამაშოები, სპორტული ინვენტარი, წიგნები და სხვა);

ვ) ასაკობრივი მოთხოვნილებების გათვალისწინებით, ბავშვისთვის ხელმისაწვდომია ტელევიზორის, კომპიუტერის, ან სხვა ტექნიკის მოხმარება, რაც დაბალანსებულია დასვენება-გაჯანსაღების სხვა ღონისძიებებთან მიმართებაში.

მუხლი 9. დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება (სტანდარტი №9)

1. მოსალოდნელი შედეგი - მინდობით აღზრდაში ბავშვის/მოზარდის დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება უწყვეტი პროცესია. მას ეხმარებიან განივითაროს და შეიძინოს ის უნარები, ცოდნა და კომპეტენციები, რაც საჭიროა დამოუკიდებელი ცხოვრების უზრუნველსაყოფად.

2. აღსრულების მაჩვენებლებია:

- ა) მინდობით აღმზრდელი ოჯახი ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესაბამისად ხელს უწყობს ბავშვს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარების განვითარებაში;
- ბ) მინდობით აღმზრდელი, სწავლისა და დასვენებისაგან თავისუფალ დროს წახალისებს ბავშვს, რათა აქტიურად ჩაერთოს ოჯახის ყოველდღიურ საქმიანობაში, რომელიც არ არის საზიანო მისი ჯანმრთელობისა და განვითარებისათვის;
- გ) მინდობით აღმზრდელი ეხმარება ბავშვს სოციალური და ყოფითი უნარების (მაგ.: თვითმოვლა, საკუთარი კუთხის დალაგება, ტანსაცმლის მოწესრიგება/გარეცხვა, თანატოლებთან და ოჯახის წევრებთან ურთიერთობა, თანხის განკარგვა, საზოგადოებრივ სერვისებთან ურთიერთობა და სხვა) შეძენაში და შესაძლებლობების განვითარებაში;
- დ) ბავშვი, მისი ასაკის, განვითარების დონის, კომპეტენციისა და უნარების შესაბამისად, წახალისებულია იყოს დამოუკიდებელი;
- ე) მინდობით აღმზრდელი ოჯახი ხელს უწყობს მოზარდს პროფესიული მისწრაფებების გამორკვევასა და მომავალი პროფესიის არჩევაში;
- ვ) ბენეფიციარებს 14 წლის ასაკიდან ხელს უწყობს განავითარონ საკუთარი შესაძლებლობები უმაღლესი განათლების მიღების ან პროფესიული ინტერესების გამოვლენის თვალსაზრისით, რაც აისახება ინდივიდუალური განვითარების გეგმაში.

მუხლი 10. ემოციური მხარდაჭერა და პოზიტიური დისციპლინა (სტანდარტი №10)

1. მოსალოდნელი შედეგი - მინდობით აღმზრდელ ოჯახში შექმნილია გარემო, სადაც ხელშეწყობილია ბავშვის ემოციური და სოციალური განვითარება. მინდობით აღმზრდელი იყენებს აღზრდის პოზიტიურ მიდგომებს და ეხმარება ბავშვს ემოციების მართვასა და სირთულეების გადაჭრის გზების ძიებაში.

2. აღსრულების მაჩვენებლებია:

- ა) მინდობით აღმზრდელი ყურადღებით და გულისხმიერებით ეკიდება ბავშვის ემოციებს, შინაგან განცდებს, გამოხატავს ინტერესს ბავშვის სურვილებისა და პირადი პრობლემების მიმართ, რაზედაც ახდენს სათანადო რეაგირებასა და მხარდაჭერას;
- ბ) მინდობით აღმზრდელი ბავშვის მიმართ იყენებს აღზრდის პოზიტიურ მეთოდებს;
- გ) მინდობით აღმზრდელი სოციალურ მუშაკს აცნობებს ბავშვის ისეთი რთული ქცევის შესახებ, რომელიც უარყოფითად აისახება ბავშვის/სხვა ბავშვის ემოციურ კეთილდღეობაზე, თანატოლებთან ურთიერთობაზე და სოციალურ ინკლუზიაზე და/ან ზოგადად ოჯახის ფუნქციონირებაზე;
- დ) რთული ქცევის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, სოციალური მუშაკი უზრუნველყოფს ბავშვსა და მინდობით აღმზრდელს მხარდაჭერითა და კონსულტაციით, საჭირო სპეციალისტთან დაკავშირებით;
- ე) პროცესში წამოჭრილი პრობლემები ან სირთულეები, მინდობით აღმზრდელის მიერ განიხილება ბავშვთან (მისი ასაკის, ჯანმრთელობისა და განვითარების დონის გათვალისწინებით), სოციალურ მუშაკთან და მათთან თანამშრომლობით გეგმავს მათი გადაჭრის გზებს.

მუხლი 11. ძალადობისგან დაცვა (სტანდარტი №11)

1. მოსალოდნელი შედეგი - მინდობით აღზრდაში განთავსებული ბავშვი დაცულია ძალადობისა და უგულვებელყოფისგან.

2. აღსრულების მაჩვენებლებია:

ა) მინდობით აღზრდელი „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილების (შემდგომში - საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილება) შესაბამისად ახდენს რეაგირებას ძალადობის ფაქტის აღმოჩენის ან საფუძვლიანი ექვის გამოვლენის შემთხვევაში;

ბ) მინდობით აღზრდელს მიეწოდება სრული ინფორმაცია ბავშვის ძალადობასთან დაკავშირებული წარსული გამოცდილების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ. ეს ინფორმაცია კონფიდენციალურია და საიმედოდ ინახება მინდობით აღზრდელის მიერ;

გ) სოციალური მუშაკის, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სპეციალისტის მხრიდან, მინდობით აღზრდელი და ბავშვი უზრუნველყოფილია მხარდაჭერით, ასევე ბავშვზე ზრუნვის პროცესში საჭირო კონსულტაციით;

დ) ბავშვის მიერ განცდილი ძალადობის ფაქტის ან საფუძვლიანი ექვის შემთხვევაში, მინდობით აღზრდელი ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით;

ე) მინდობით აღზრდელ ოჯახში ძალადობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, სოციალური მუშაკი აფასებს შემთხვევას და განიხილავს ბავშვის მინდობით აღზრდელ ოჯახში დატოვების ან მომსახურებიდან გაყვანის შესაძლებლობებს.

მუხლი 12. მომსახურებიდან გასვლა და მომსახურების ცვლილება (სტანდარტი №12)

1. მოსალოდნელი შედეგი - მომსახურებიდან გასვლა ნიშნავს იმ პროცესს, რომლის საშუალებითაც ბავშვი გადის მომსახურებიდან, უბრუნდება ბიოლოგიურ ოჯახს (რეინტეგრაცია), შვილდება, გადადის ზრუნვის სხვა ფორმაში (მეურვეობა/მზრუნველობა, მცირე საოჯახო სახლი და სხვა) ან იწყებს დამოუკიდებელ ცხოვრებას, ან ბრალდებული/მსჯავრდებული/განრიდებულია. ეს პროცესი მოიცავს გადაწყვეტილების მიღებას, ბავშვის გადასვლისა და შემდგომი მხარდაჭერის პროცესს. ზრუნვიდან გასვლის პროცესის დაგეგმვა და შესრულება ხორციელდება ინდივიდუალური განვითარების გეგმაში ასახული მიზნების შესაბამისად, ჩართული მხარეების მონაწილეობით.

2. აღსრულების მაჩვენებლებია:

ა) მინდობით აღზრდელი და სოციალური მუშაკი უზრუნველყოფენ, რომ მომსახურებიდან გასვლის პროცესი განხორციელდეს ინდივიდუალური განვითარების გეგმაში დასახული მიზნებისა და ღონისძიებების შესაბამისად. გადაწყვეტილება მომსახურების ცვლილების შესახებ არ აისახება ინდივიდუალური განვითარების გეგმაში, თუკი გადაწყვეტილება მიიღება ზრუნვის პროცესში წამოჭრილი გადაუდებელი გარემოებების შედეგად;

ბ) ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების ან სხვა მომსახურებაში გადასვლის შემთხვევაში, სოციალური მუშაკი ხელს უწყობს ამჟამინდელ და მომავალ მზრუნველ პირებს, ასევე ბიოლოგიურ მშობელს (ასეთის არსებობის შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო

ინტერესებს) შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებას შემთხვევის სპეციფიკისა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით;

გ) ბავშვი მისი ასაკის, ჯანმრთელობისა და განვითარების დონის გათვალისწინებით, აქტიურად მონაწილეობს ახალ გარემოში გადასვლის/მომსახურებიდან გასვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების, ასევე, გადასვლისთვის მოსამზადებელ პროცესებში;

დ) მთელი პროცესის განმავლობაში, მინდობით აღმზრდელი და სოციალური მუშაკი ბავშვს სთავაზობენ საჭირო მხარდაჭერას;

ე) სრულწლოვანების მიღწევისა და დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყების გზაზე სოციალური მუშაკი ბავშვს აწვდის ინფორმაციას და უწევს კონსულტაციას ზრუნვიდან გასვლის შემდეგ თემში არსებული მხარდამჭერი რესურსების/მომსახურებების შესახებ;

ვ) თუ ბავშვი ბრალდებული ან მსჯავრდებულია ან განრიდებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან, სოციალური მუშაკი მას უწევს შესაბამის კონსულტაციას;

ზ) სოციალური მუშაკი, ინდივიდუალური განვითარების გეგმას აწვდის იმ დაწესებულებას, სადაც არასრულწლოვანი გადადის და აგრეთვე, იგი უფლებამოსილია ამ დაწესებულებიდან გამოითხოვოს ბავშვის მდგომარეობისა და ინდივიდუალური განვითარების გეგმის განხორციელების შესახებ ინფორმაცია, არანაკლებ 6 თვეში ერთხელ.

მუხლი 13. უკუკავშირისა და გაპროტესტების პროცედურები (სტანდარტი №13)

1. მოსალოდნელი შედეგი - მომსახურებასთან დაკავშირებით, უკუკავშირის/აზრის გამოხატვა არის მომსახურების განუყოფელი ნაწილი და ხელს უწყობს ზრუნვის პროცესში ჩართულ ყველა მხარეს – ბავშვს/ბიოლოგიურ მშობელს (ასეთის არსებობის შემთხვევაში და თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს)/მინდობით აღმზრდელს შეუზღუდავად გამოხატონ შეხედულება მომსახურების ნებისმიერი ასპექტის შესახებ. მინდობით აღზრდაში მყოფ ბავშვს აქვს მომსახურების შესახებ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება. ჩართული მხარეები დროულად განიხილავენ, ბავშვის მიერ გამოთქმულ უკუკავშირს და შესაძლებლობის ფარგლებში ახდენენ მასზე სათანადო რეაგირებას.

2. აღსრულების მაჩვენებლებია:

ა) სოციალური მუშაკი უზრუნველყოფს, რომ მომსახურებაში ჩართული ყველა მხარე – ბავშვი, მინდობით აღმზრდელი და ბიოლოგიური მშობელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში და თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს) ინფორმირებულია უკუკავშირის/გასაჩივრების უფლებების შესახებ;

ბ) საინფორმაციო ფურცელი (დანართი N1.1), რომელიც ბავშვს, განვითარების დონის შესაბამისად, მომსახურებაში განთავსებისას გაეცნობა, აღწერს უკუკავშირთან/გასაჩივრებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

გ) მინდობით აღმზრდელ ოჯახში შექმნილია გარემო, სადაც ბავშვს აქვს საკუთარი აზრისა და შეხედულების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა;

დ) მინდობით აღმზრდელ ოჯახში სათანადო ყურადღებას აქცევენ ბავშვის მიერ გამოთქმულ უკუკავშირს;

ე) სოციალური მუშაკი ხელს უწყობს ბავშვს გამოხატოს საკუთარი აზრი ზრუნვის ხარისხის შესახებ, ასევე ეხმარება მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, რაც უშუალოდ უკავშირდება ბავშვის ცხოვრებას;

- ვ) ბავშვის მხრიდან უკუკავშირის არსებობისა და გაპროტესტების შემთხვევაში მინდობით აღმზრდელი მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;
- ზ) ბავშვმა, ასაკის, ჯანმრთელობისა და განვითარების დონის გათვალისწინებით იცის უფლებამოსილი პირის ვინაობა და აქვს მისი საკონტაქტო ინფორმაცია, რომელსაც უკავშირდება განსაკუთრებულ შემთხვევებში;
- თ) ბავშვის პირად საქმეში დაცულია ინფორმაცია ბავშვის მიერ გამოთქმული უკუკავშირისა და პროტესტის პასუხად სოციალური მუშაკისა და მინდობით აღმზრდელის მხრიდან განხორციელებული ქმედებების შესახებ.

დანართი №1.1

საინფორმაციო ფურცელი

1. ტერიტორიული ერთეული _____
2. მომსახურების სახე, შინაარსი _____

3. მინდობით აღმზრდელი (სახელი, გვარი): _____
4. ფაქტობრივი მისამართი: _____
5. უფროსი სოციალური მუშაკი (სახელი გვარი, ტელეფონის ნომერი):

6. სოციალური მუშაკი (სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი):

7. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დარეკო:
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი - 15-05; საგანგებო სიტუაციების სამსახური - 112; ოჯახში ძალადობის ცხელი ხაზი - 2 309 903; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი - 2 234499/2 913814/2 913815
8. მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონული საბჭოს გადაწყვეტილებით, მნახველი და/ან გამყვანი პირის სახელი, გვარი, ფაქტობრივი მისამართი, ტელეფონის ნომერი:

მინდობით აღსაზრდელი სახელი, გვარი: _____

მივიღე ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:

- საკუთარი უფლება-მოვალეობების შესახებ
- პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის შესახებ
- ძალადობისა და უგულბელებოებისგან დაცვის შესახებ
- უკუკავშირის/გასაჩივრების უფლებების შესახებ
- ჯანმრთელობის დაცვის შესახებ

მინდობით აღსაზრდელის (განვითარების დონის შესამაბისად) ხელმოწერა:

მინდობით აღსაზრდელის ხელმოწერა: _____

სოციალური მუშაკის ხელმოწერა: _____